ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკის ტერიტორიაზე (დ. უზნაძის #103) განსახორციელებელი რეკონსტრუქციისთვის

ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკის კომპლექსი მდებარეობს დ. უზნაძის ქუჩასა და აღმაშენებლის გამზირს შორის მდებარე ნაკვეთზე და ორიენტირებულია დ. უზნაძის ქუჩისკენ. აღმაშენებლის გამზირის, კრილოვისა და პასტერის ქუჩების მხრიდან ის გარშემორტყმულია სხვადასხვა დანიშნულების (ძირითადად საცხოვრებელი) შენობა-ნაგებობებით. კლინიკის კომპლექსს ერთმანეთთან დაკავშირებული ურთიერთმართობულად განლაგებული შენობები ქმნის, რომლებიც სხვადასხვა პერიოდშია აგებული. მათი არქიტეტურული ღირებულებაც განსხვავებულია. ძირითადი ბირთვი (იხ. რუკაზე - გ), რომელიც სამი მოცულობისგან შედგება, მე-19 ს-ის მეორე ნახევარში აიგო და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის #3/181 ბრძანების დანართი #1).

კლინიკის ტერიტორიაზე არსებული სხვა ნაგებობები, რომლებიც არ ატარებენ ძეგლის სტატუსს და სხვადასხვა პერიოდშია აგებული, არაერთგვაროვანი ღირებულებისაა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი უზნაძის ქუჩისკენ გამავალი მოცულობაა (პირველი ორი სართული აგებულია მე-19ს-ის ბოლოს - მე-20 ს-ის დასაწყისში, ხოლო ზედა სართული მე-20 ს-ის 50-იანი წლებში), (იხ. რუკაზე - დ). მე-20 ს-ის მეორე ნახევრისაა ტერიტორიაზე არსებული სხვა შენობები, მათ შორის უკანა ეზოში მდებარე ერთსართულიანი დამხმარე ნაგებობები (იხ. რუკაზე - ბ).



უკანასკნელ წლებში კლინიკის კომპლექსის ძირითად კორპუსებს, რომლებშიც განთავსებულია ადმინისტრაცია, მიმღები, სტაციონარი, გადაუდებელი დახმარების

მომსახურება, ლაბორატორია, ჩაუტარდა გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოები. კეთილმოეწყო და თანამედროვე დიზაინით დამუშავდა ინტერიერები, შეიცვალა ღიობები (მეტალოპლასმასით), გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა იმ კორპუსებზე, სადაც იკვეთებოდა ავარიული საშიშროება. ასევე კეთილმოეწყო შიდა მემორიალური (სადაც ალ. ალადაშვილის ბიუსტი დგას) და უკანა ეზოები. სწორედ უკანა ეზოა ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი. ეზოს პერიმეტრზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები: სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ეზოს საზღვრავს კლინიკის სამსართულიანი ურთიერთმართობული ბლოკები, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ერთსართულიანი დამხმარე ნაგებობები (საწყობები, თელასის სადგური, მორგი) (იხ. რუკაზე- ბ), სამხრეთ-აღმოსავლეთიდან საცხოვრებელი სახლის (კახიძის#5 (ყოფ. კრილოვის ქ.); იხ. რუკაზე - ე) ოთხსართულიანი ფლიგელის გვერდითა ფასადი და აგურის კედელი, რომელიც გამოჰყოფს ეზოს სივრცეს მომიჯნავე, კრილოვის ქუჩისკენ გამავალი საცხოვრებელი სახლებიდან.






ეზოს ცენტრალურ ნაწილში მოწყობილია შადრევანი, რომლის გარშემო მცირე სკვერია მწვანე ნარგავებით (იხ რუკაზე - ა). სკვერის მომიჯნავედ ჩრდილოეთი მხრიდან, დგას ერთსართულიანი დამხმარე ნაგებობა.




ეზოს სივრციდან აღიქმება ჩრდილოეთ მხარეს კლინიკის ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარე ორსართულიანი ქართული აგურით ნაგები შენობა (აღმაშენებლის #136; იხ. რუკაზე - ზ) და მის მართობულად არსებული ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი (აღმაშენებლის #138; იხ. რუკაზე - ლ).





კლინიკის ეზოს მომიჯნავე ზემოჩამოთვლილი ნაგებობებიდან სტატუსის მიხედვით გამოირჩევა ორი შენობა - აღმაშენებლის #136, რომელიც აღმაშენებლის გამზირის წითელ ხაზზე არ გადის, ნაკვეთის სიღრმეში მდებარეობს და კახიძის #5 (ყოფ. კრილოვის ქ. #5); ორივე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის #3/181 ბრძანების დანართი #1). აღმაშენებლის #136 მე-19 ს-ის ნაგებობაა, რომელიც თოჯინების თეატრს გადაეცა და ამჟამად აქ მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები. ის უშუალოდ არ ებჯინება ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკის ეზოს პერიმეტრზე არსებულ ერთსართულიან ნაგებობებს. გასული საუკუნის მეორე ნახევრის სრულიად უსახური საცხოვრებელი სახლი, აღმაშენებლის #138, უსისტემო, ქაოტური, არაერთგვაროვანი მიშენებებით უხეშად იჭრება აღმაშენებლის #136 შენობის ფარგლებში და არქიტექტურული თვალსაზრისით ამძიმებს ამ შენობების მიმდებარე, კლინიკის მომიჯნავე (ჩრდილოეთ-დასავლეთიდან) ნაკვეთის ესთეტიკურ მხარეს.





კახიძის #5 საცხოვრებელი სახლი საშენი მასალის მიხედვით (ე.წ. „რუსული“ აგური), კახიძის ქუჩისკენ გამავალი ფლიგელის არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით (გეგმარება ორი ურთიერთპერპენდიკულარული (Г-სებურად) ფლიგელისგან შედგება), მხატვრული დამუშავების ხასიათით (ფასადი რენესანსულ-ბაროკული, ლითონის აივნები) მე-19 ს-ის ბოლოს უნდა იყოს აგებული, თუმცა დღემდე მრავალი გადაკეთება განიცადა და საკმაოდ სახეშეცვლილია. ეს განსაკუთრებით ეხება სახლის შიდა ეზოსკენ მიმართულ ფლიგელს ანუ იმ ბლოკს, რომელიც კლინიკის ტერიტორიას ესაზღვრება და კარგად აღიქმება მისი უკანა ეზოდან. საფიქრებელია, რომ გადაკეთებამდე აქ იქნებოდა მე-19 ს-ის მეორე ნახევრის თბილისური საცხოვრებლისთვის დამახასიათებელი გარეთ გატანილი დამხმარე სათავსები, ფასადის მთელ სიგრძეზე გაყოლებული ხის პილასტრებიანი საკომუნიკაციო აივნებით ან შუშაბანდებით. აქ განხორციელებულია, როგორც მიშენებები სახლის ეზოს მხრიდან, ასევე დაშენება და კლინიკის მხარეს გამავალ ფასადზე ღიობების ქაოტურად გაჭრაც. ამდენად მისი პირვანდელი სახე სრულიად შეცვლილია.




ჩრდილო-დასავლეთიდან ეზოს ტერიტორიას ესაზღვრება სასტუმროს, ადრე საცხოვრებელი სახლების (აღმაშენებლის გამზირი # 130/132; იხ. რუკა - ი, კ) უკანა ეზო, რომლის სიღრმეში კლინიკის ეზოსთან ახლომდებარე შენობა რიგითი ხასიათისაა. უშუალოდ აღმაშენებლის წითელ ხაზზე გამავალი შენობები (აღმაშენებლის გამზირი ## 130,132 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია. აღმაშენებლის გამზირი #130 აგებულია 1912 წელს, ხოლო აღმაშენებლის გამზირი #132 მე-19 ს-ის ბოლოს. ეს ნაგებობები კლინიკის ეზოდან არ აღიქმება და არც უშუალო კავშირში არ არის მასთან. ქვემოთ წარმოდგენილია კლინიკის ტერიტორიის მომიჯნავე, აღმაშენებლის გამზირის ##130, 132 შენობების უკანა ეზოს ფოტოები.










კლინიკის ეზოში მდებარე ერთსართულიანი ნაგებობები ბარაკის ტიპისაა, რომელთა ნაწილი დამხმარე დანიშნულებისაა, ნაწილი დღედღეობით დამხმარე ფუნქციასაც აღარ ასრულებს და აკნინებს ეზოს არქიტექტურულ ღირებულებას, რამდენადაც მათი სახე შეუსაბამოა ეზოში მოწყობილ სკვერთან და კლინიკის კორპუსებთან. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერიტორიის კეთილმოწყობის, აქ არქიტექტურული სახის ხარისხის ამაღლების, ეზოს მიღმა არსებული შენობების ხედების დაფარვის, თავად კლინიკის მეტი კომფორტის და გაფართოების თვალსაზრისით სასურველია ამ შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მათ ადგილას თანამედროვე, ამ მასშტაბის დაწესებულებისთვის შესაფერისი შენობის აგება გარემომცველ ნაგებობებთან მიმართებაში სამშენებლო ნორმების დაცვისა და კლინიკის ეზოში არსებული კორპუსების მასშტაბის, არქიტექტურული სახის გათვალისწინებით.

არქიტექტურის აკადემიური დოქტორი მ. ძიძიგური